



ΕΛΛΗΝΙΚΗ ΔΗΜΟΚΡΑΤΙΑ
ΕΠΙΤΡΟΠΗ ΑΝΤΑΓΩΝΙΣΜΟΥ



თანამშრომლობის მემორანდუმი
საბერძნეთის კონკურენციის კომისიასა

და

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შორის

საბერძნეთის კონკურენციის კომისია და საქართველოს კონკურენციის სააგენტო (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მხარეები“),

გამოხატავენ რა სურვილს, ხელი შეუწყონ კონკურენციის პოლიტიკისა და კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების სფეროში თანამშრომლობას მხარეთა სახელმწიფოებში,

მიზნად ისახავენ რა, ხელსაყრელი პირობების შექმნას ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისთვის,

ხაზს უსვამენ რა, კონკურენციის მნიშვნელობას საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან განვითარებაში,

თანასწორობის და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაყრდნობით,

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მიზანი და განმარტება

1. წინამდებარე თანამშრომლობის მემორანდუმის ("მემორანდუმი") მიზანია, მხარეებმა ხელი შეუწყონ და გააძლიერონ თანამშრომლობა კონკურენციის სამართლის აღსრულებისა და კონკურენციის პოლიტიკის განხორციელების სფეროში.

2. მემორანდუმში მოცემულ ტერმინებს ექნება შემდეგი განმარტებები:

ა) "კონკურენციის კანონი/კონკურენციის წესები" ნიშნავს: საბერძნეთის კონკურენციის კომისიისათვის, "თავისუფალი კონკურენციის დაცვის შესახებ" №3959/2011 კანონს და საქართველოს კონკურენციის სააგენტოსათვის საქართველოს №2159/2014 კანონს "კონკურენციის შესახებ", აგრეთვე აღნიშნულ აქტებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებას და კანონების საფუძველზე მიღებულ დამატებით კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

(ბ) "აღსრულების ღონისძიებება(ები)" ნიშნავს კონკურენციის ორივე ორგანოს მიერ, კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად, ჩატარებულ ნებისმიერ მოკვლევას ან წარმოებას.

მუხლი 2. თანამშრომლობის სფეროები

მხარეთა ორმხრივი ინტერესის გათვალისწინებით, არსებული რესურსების გამოყენებით, თანამშრომლობა გამოხატულ იქნება შემდეგ ძირითად ასპექტებში:

ა) ინფორმაციის გაცვლა მხარეთა კონკურენციის კანონმდებლობის საკითხებზე;

ბ) მნიშვნელოვანი განვითარებისა და ნოუ-ჰაუს გაზიარება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით განხორციელებულ მოკვლევებთან მიმართებით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გაზიარებული

ინფორმაცია არ უნდა აზიანებდეს მიმდინარე მოკვლევის ან სხვა წარმოების პროცესს;

გ) გამოცდილების გაზიარება კონკურენციის ორგანოებსა და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით;

დ) გამოცდილების გაზიარება კონკურენციის ადვოკატების მიზნით, კონკურენციის კანონმდებლობისა და აღსრულების თემატიკაზე ეკონომიკური აგენტებისა და ფართო საზოგადოებისათვის ჩატარებული საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების თაობაზე;

ე) ინფორმაციის გაცვლა და მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა კონკურენციის სფეროში არსებულ ნორმატიულ აქტებში ცვლილებების განხორციელებასა თუ ახალი წინადადებების მომზადებაში.

მუხლი 3. თანამშრომლობის ფორმები

მხარეთა თანამშრომლობის ძირითადი ფორმები შესაძლებელია იყოს შემდეგი:

ა) კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებისა და კონკურენციის პოლიტიკის შესახებ არაკონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლა;

ბ) თანამშრომელთათვის სასწავლო ვიზიტებისა და ექსპერტების ტრენინგების ორგანიზება, სასამართლო დავებზე მომუშავე პირების ჩათვლით;

გ) მხარეთა მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე, სემინარებსა და სხვა ღონისძიებებზე მონაწილეობა;

დ) ექსპერტების შეხვედრების ან ელექტრონული ფოსტის/ტელეფონის მეშვეობით მხარეთა ექსპერტებს შორის კონსულტაციების გამართვა, ორმხრივი ინტერესის სფეროს მიკუთვნებულ კონკრეტულ საკითხებზე არაკონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით;

ე) მაღალი რანგის შეხვედრების/ვიზიტების ორგანიზება ორმხრივი თანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივებისა და მიმართულებების განსახილველად;

ვ) კონკურენციის პოლიტიკის მიმართულებით შემუშავებული, მხარეთა მიერ გამოქვეყნებული არაკონფიდენციალური რეგულარული გამოცემების, მათ შორის წლიური ანგარიშების, კვლევების, წიგნების, ჟურნალებისა და საინფორმაციო ბუკლეტების გაცვლა.

მუხლი 4. ინფორმაციის გაცვლა

ინფორმაციის გაცვლა მოხდება ინგლისურ ენაზე, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით, წინასწარ განსაზღვრული საკონტაქტო პირების მეშვეობით ან მხარეთა წარმომადგენლების შეხვედრების დროს.

მუხლი 5. კონფიდენციალური ინფორმაცია

1. მხარეები თავისუფლდებიან ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან, თუ ამგვარი ინფორმაციის გაცვლას კრძალავს შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა ან კონკურენციის მიზნებიდან გამომდინარე, ეს არ შედის მხარის ინტერესებში.

2. მხარეები არ გამოაქვეყნებენ, არ გაცემენ და მესამე პირებს არ გააცნობენ ინფორმაციას, რომელიც მოძიებულია ერთობლივად, მემორანდუმის იმპლემენტაციის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეებს ასევე გააჩნიათ სხვა დამოუკიდებელი შეთანხმებები.

მუხლი 6. ღონისძიებების ორგანიზება

ღონისძიებების დღის წესრიგი, განხორციელების ადგილი და სხვა ელემენტები, მათ შორის ფინანსური საკითხები, უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 7. დავის გადაწყვეტა

მემორანდუმის გამოყენებიდან ან განმარტებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 8. გადახედვა და ცვლილებები

მემორანდუმში ნებისმიერი ცვლილების თუ დამატების შეტანა უნდა განხორციელდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით, რომელსაც ექნება ოქმის ფორმა და ხელი მოეწერება ორივე მხარის მიერ. ოქმი ძალაში შევა ორივე მხარის მიერ ხელის მოწერის დღიდან.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმი იდება მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და განვითარებისათვის და არ წარმოადგენს სავალდებულო შეთანხმებას მხარეთა სახელმწიფოთათვის საერთაშორისო ხელშეკრულებების და შიდა კანონმდებლობის ფარგლებში. ამ მემორანდუმის არც ერთი დებულება არ უნდა იქნას განმარტებული და გაგებული მხარეთა სახელმწიფოთათვის უფლებების მინიჭების ან ვალდებულებების დაკისრების ჭრილში.

2. აღნიშნული მემორანდუმი არ ავალდებულებს მხარეებს, მოახდინონ ფინანსური, ადამიანური, ადმინისტრაციული თუ სხვა სახის რესურსის მობილიზება.


3. წინამდებარე მემორანდუმი იდება განუსაზღვრელი ვადით და ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან.

4. მემორანდუმის მოქმედება შეწყდება ერთი მხარის მიერ მეორისათვის მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტის განზრახვის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაკეთებიდან სამი თვის შემდეგ.

მემორანდუმი ხელმოწერილია 2018 წლის 28 სექტემბერს, ქ. თბილისში, ორ-
ორ ეგზემპლარად, ინგლისურ და ქართულ ენებზე, ყველა ტექსტი თანაბრად
ავთენტურია. მემორანდუმის დებულებების განსხვავებული განმარტების
შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ტექსტს.

საბერძნეთის კონკურენციის
კომისიის სახელით


საბჭოს წევრი



ლევკოთია ნტეკა

საქართველოს კონკურენციის
სააგენტოს სახელით

თავმჯდომარე



ნოდარ ხადური



ΕΛΛΗΝΙΚΗ ΔΗΜΟΚΡΑΤΙΑ
ΕΠΙΤΡΟΠΗ ΑΝΤΑΓΩΝΙΣΜΟΥ



**MEMORANDUM
ON PARTNERSHIP IN THE FIELD OF THE COMPETITION LAW
ENFORCEMENT
BETWEEN THE HELLENIC COMPETITION COMMISSION OF AND
COMPETITION AGENCY OF GEORGIA**

The Hellenic Competition Commission and Competition Agency of Georgia (hereinafter referred to as “the Parties”),

Expressing the wish to promote cooperation in the field of competition policy and competition law enforcement of the States of Parties,

Aiming at the creation of favorable conditions for the development of bilateral relations,

Based on principles of equality and mutual benefit,

Underlining the role of competition in the effective development of market economy,

HAVE AGREED as follows:

Article I. AIM AND DEFINITIONS

1. The purpose of the present Memorandum of Partnership (“the Memorandum”) is to promote and strengthen cooperation between the Parties in the field of competition law enforcement and competition policy.

2. In this Memorandum, these terms will have the following definitions:

(a) “Competition law/competition rules” means: for the Hellenic Competition Commission Law N.3959/2011 “On Protection of Free Competition” and for the Competition Agency of Georgia Law N2159/2014 “Law of Georgia on Competition” as well as any amendments to these Acts and regulations made under these Acts.

(b) “Enforcement activity(ies)” means any investigation or proceeding conducted by each of the competition authorities in relation to the competition laws they enforce.

Article II. FIELDS OF COOPERATION

In the mutual interest of the Parties, cooperation will be materialized in the following basic aspects, subject to reasonably available resources:

a) exchange of information on legislative developments of the States of Parties in the field of competition law;

b) exchange of significant developments in competition law enforcement and of know-how in the field of investigations, regarding the violation of competition rules of the States of Parties, provided that it does not affect any current investigation or proceedings being carried out by either Party;

c) exchange of experience regarding the relations between competition authorities and national regulatory agencies;

d) exchange of experience in the field of competition advocacy, including raising awareness of companies and the wider public about competition legislation and enforcement;

e) provision of information and methodological assistance in preparing proposals and drafting normative legal acts and other complex legal acts in the field of competition.

Article III. FORMS OF COOPERATION

The main forms of the Parties interaction may be as follows:

- a) exchange of non-confidential information on competition policy and enforcement developments;
- b) organizing study visits and experts' training programs, including experts preparing case files for courts;
- c) multilateral competition initiatives such as participation in international conferences, symposiums, seminars and other events organized by the Parties;
- d) expert meetings or consultation via e-mail/telephone between experts of the Parties regarding exchange of non-confidential information on specific issues of mutual interest;
- e) organization of high level-meetings/visits for discussing the perspectives and directions in which the bilateral cooperation will continue;
- f) exchange of non-confidential documents in the field of competition policy, such as regular publications by the Parties, including annual reports, studies, books, journals and information bulletins.

Article IV. EXCHANGE OF INFORMATION

The transmission of information will be made in English by post, e-mail or telephone through designated general contact points or on the occasion of Parties' representatives' meetings.

Article V. CONFIDENTIAL INFORMATION

1. No Party will be obliged to provide or communicate information to the other Party if the provision/communication of such information is prohibited by the law of the State of the Party in possession of this information, or if it is not in the interests of the Party applying competition law.

2. The Parties will not publish, transmit or disclose to third parties information accessed through joint activities for the implementation of this Memorandum, unless stated otherwise in agreements reached separately by the Parties.

Article VI. ORGANIZATION OF ACTIVITIES

The agenda, place and other elements of activities, including financial aspects, shall be individually established by Parties by mutual agreement.

Article VII. DISPUTE RESOLUTION

Disputes regarding the interpretation and application of the present Memorandum, if any, shall be resolved through consultations and negotiations.

Article VIII. REVIEW AND AMENDMENTS

Any review or amendment to the Memorandum shall be made by mutual agreement of the Parties in the written form, executed as a protocol and signed by both Parties. The protocol enters into force on the date of signature.

Article IX. FINAL REMARKS

1. This Memorandum is concluded with a view to enhancing and developing cooperation between the Parties and does not constitute an agreement binding upon the States of the Parties under international agreements and domestic law. No provision of this Memorandum shall be interpreted and implemented as creating legal rights or commitments for the States of the Parties.

2. This Memorandum does not oblige the Parties to commit resources in terms of funds, time, staff or other administrative resources.

3. The present Memorandum enters into force upon signature and shall remain in effect for an indefinite period of time. .

4. The Memorandum will expire after three months from the date of receipt by either Party of a written notification to the other Party stating its intention to terminate it.

Done in Tbilisi, on 28th of September, 2018 in two copies, each in Georgian and English languages, each text being authentic. In case of divergence in interpretation, the English text shall prevail.

The Hellenic Competition Commission



Lefkothea Nteka
Member of the Board

**Competition Agency of
Georgia**



Nodar Khaduri
Chairman